09/06/2019

ბოდბეში, წმინდა ნინოს სახელობის ახალ ტაძარში საზეიმო ლიტურგია მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ესწრება

ბოდბეში, წმინდა ნინოს სახელობის ახლად აგებულ ტაძარში საზეიმო ლიტურგია მიმდინარეობს.

პირველ წირვას ახალ ტაძარში მღვდელმთავრებთან ერთად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღავლენს.

წირვის დასრულების შემდეგ, ილია მეორე მრევლს ქადაგებით მიმართავს. მანამდე კი მეუფეებმა ტაძრის კურთხევის რიტუალი შეასრულეს.

ბოდბეში იმყოფება საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.

1TV.GE

1TV.GE

1TV.GE

1TV.GE

ავტორი – ნათია ქენქაძე, ზურაბ ქურციკიძე / 1tv